წელიწადი მე-2 | ტელეფონი № 76. | შაბათი, 3 დეკემბერი

# სამშობლო

ფასი 5 კ.

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., [illegible] სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისს ქ., კნ. მიქელაძის სახლებში.

№ 500 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. — № 500

უზომო დამწუხრებულნი მიხეილ პავლეს ძე ორაგველიძე, ლოგა გიორგის ასული ორაგველიძისა, გიორგი ანდრიას ძე ტუკვაძე და მარინე გიორგის ასული ტუკვაძისა აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს პირველნი უსაყვარლესი შვილის და მეორენი შვილის-შვილის

**ალექსანდრეს (იგივე საშა) მიხეილის ძის ორაგველიძის**

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა დანიშნულია შაბათს, 3 დეკემბერს ნაშუადღევის 3 საათზე, საფირჩხიის სასაფლაოზე. გამოსვენება საკუთარი ბინიდან პადგორნის ქუჩიდგან სახლი აბულაძის.

---

კესარია ოქროპირის ასული მიქიაშვილისა, ნიკიფორე (იგივე მიშა) და ეფროსინე (იგივე ცაგუ) მიქიაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთა და მეგობართ პირველის საყვარელ ქმრისა და დანარჩენთა ძვირფასი მამის

**მათია ბესარიონის ძე მიქიაშვილის**

გარდაცვალებას. გამოსვენება საკუთარ სახლიდან პოლიციის ქუჩაზე მოხდება კვირას, 4 დეკემბერს. 1—1

---

[illegible] ლევან აგიაშვილის ასული, ღუბი კნიაჟნები: მარიამ, ნინა, ნელლინა და ნადია ნოეს ასულნი ნიჟარაძენი, მწუხარებით გულმოკლულნი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, პირველის უძვირფასესი შვილის და მეორეთა ძვირფასის ძმის

**სამსონ (იგივე გუჯუჯია) ნოეს ძე ნიჟარაძის**

უდროოთ გარდაცვალებას, 2 დეკემბერს დილით. დაკრძალვა მოხდება სოფ. მაღლაკში მაცხოვრის სახელობის ეკლესიის საგვარეულო სასაფლაოზე, სამშაბათს, 6 დეკემბერს ნაშუადღევის 3 საათზე.

---

**ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განაახლა ავად მყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

**ექიმი** ი. **ჩარექოძე** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი: ლვვაშოვის ქუჩა, ალიხანოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**გამოცდილი სტუდენტი ამზადებს** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს ჯგუფი საფიცრო მოწაფეებისა I და II ხარისხ. იყვანს პირობით. მისამართი: თფილისის ქ. № 35 მიქელაძის სახლებში, მეორე სართულზე, გაზ. „სამშობლო“-ს რედაქციის ზევით. მიღება 9—12 ს. და 3—6 ს. საღ. მასწავლებელი ა. ზ. თელ.

**ექიმი მულინი**, ყელის, ცხვირის და ყურების ლეჩულობს ავადმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თფილისის ქუჩა № 70 სახლი ქაიხოსრო ჯაყარიძისა.

**დოქტორი მედიცინისა**

**დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი.**

ლეჩულობს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე. გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი. 10—4 დღ. გამ.

**მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი**

**მარიამ ტ. გალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს. ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან ვუკეთებ უვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილად ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ასალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვიდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, ბ. კოსტავას სახლები. № 17. 304—1—თვით.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **ბოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის, ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. 8-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**ექიმი** ა. დ. **მაჭავარიანი** (ყოფილი უფროსი ექიმი სმეცკის გულსუსტებიანთა სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფებს დილის 8—10 და საღამოს 6—8 საათამდე. დადიანის ქ. სახლი ჩაჩანიძის (წულეისკირისეული)

**ბებია** მ. მ. **კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ელექტრო **„ამპირ“** თეატრი

ხუთშაბათიდან, 1 დეკემბრიდან

**საინჟინერო ჯარის მუშაობა** სამხედრო, ნამდვილიდან

**პეტროგრადის ნამირალნი**

2 სერია დრამა 5 ნაწ.

**ქალის ოცნებანი** კომედია

ორშაბათიდან, 5 დეკემბრიდან ახალი პროგრამა

**ომის მიმოხილვა** მიმდინარე ამბები

**ჟანნა მერი** მხატვრული დრამა 4 ნაწ. **კაზიმირ ტეტმაიერის** ცნობილ რომანის შინაარსის მიხედვით

**ალკრძალული ღამე** სახუმარო

---

**ორჯერ ზედი-ზედ.**

ქუთაისის ქალაქის თეატრი წარმ. № 24—25

შაბათი, 3 და კვირა 4 დეკემბერი

სოფოკლე:

# ოიდიპოს მეფე

ანტიური ტრაგედია.

მონაწილენი: ქ-ნი ლოლუა ა., მდივანი მ., ლოლობერიძე ო., ჩხეიძე ან. ჩხეიძე ნ., ბ-ნი გელოვანი მ., გომელაური ზ., გუგუშვილი ალ., იმედაშვილი ალ., კორიშელი პლ., მურუსიძე ან., სარელი ვლ., ყალაბეგიშვილი ალ., ჩხიკვაძე ე.,

რეჟისორი ალ. იმედაშვილი, თანაშ. ა. გუგუშვილი. ადგილების ფასი ჩვეულებრივია ადმინისტრაცია დრამატ. საზოგად. გამგეობისა

წარმოდგენა დაიწყება საღ. სრულ 9 საათზე

მეორე ზარის შემდეგ თეატრში არავის შეუშვებენ, რადგანაც მოქმედება დაიწყება პარტერში.

---

ელექტრო **„რადიუმ“** თეატრი

ხუთშაბათიდან, 1 დეკემბრიდან

**საინჟინერო ჯარის მუშაობა** სამხედრო ნამდვილიდან.

2 სერია

**მშობლიურ ოლგას დაყოლებით**

დრამა 4 ნაწილად ჩაროვისა, პანოვისა, ვალევსკისა და რიმსკის მონაწილეობით.

**იჭვნეულობის ტანჯვანი**

კომედია 2 ნაწ. პრენსის მონაწ.

ორშაბათიდან, 5 დეკემბრიდან ახალი პროგრამა

**ომის მიმოხილვა** მიმდინარე ამბები

**დიდი სირცხვილი**

ძლიერი დრამა 5 ნაწ. მხატვრული სერია ტიბერ ფილმისა ბიანკა ლორენცონისა და ემილიო ჰონეს მონაწ.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

**სამხედრო მიმომხილველთა აზრი**

ფრანგული „ეხო-დე პარი“-ს მიმომხილველი სწერს: „ბუქარესტ-იასსის რკინის გზა ისე იყო დატვირთული ბუქარესტის მშვიდობიან მცხოვრებთა ზიდვით აღმოსავლეთისაკენ, რომ იარაღის და ტყვიაწამლის ზიდვა ვილახიისაკენ შეუძლებელი გახდა, ხოლო ვალახიის ჯარი იძულებული გახდა უკან დაეხია“.

„ბირჟ. ვედ“-ში კ. შუსკი სწერს: რუმინიის ოპერაციის დამთავრება იმდენად გერმანელ-ბულგარელთა მაკედონიაში გაძლიერებას არ შეუწყობს ხელს. რუმინიის გერმანელების მიერ დაპყრობა დიდ ცვლილებას შეიტანს აღმოსავლეთის ასპარეზზე ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე აქნობამდე არსებულ მდგომარეობაში. აღმოსავლეთის ასპარეზზე გაზაფხულზე საერთო მდგომარეობა უფრო მწვავე იქნება შედარებით შარშანდელთან. ეს რამდენიმე ხანია აღმოსავლეთ ასპარეზის ხაზი მუდმივ რყევაშია. ყოველ ეჭვს გარეშეა ეს შედეგია რუმინიის ჩამოხობის შემდეგ დამყარებულ მდგომარეობისა.“

— **რუმინია** რუმინიის მეფის უფროსი ძმა, კაიზერის სეხნია, ვილჰელმ ჰოჰენცოლერნი, რომელიც აქამდე გერმანელთა ჯარის ერთ ერთ ნაწილს სარდლობდა, რუმინიაში მისულა და თავისი თავი რუმინიის მეფის კანონიერ მემკვიდრედ გამოუცხადებია.

— ფრანგული გაზეთები იმედს გამოსთქვამენ, რომ თუ რუმინელებმა სურსათისა და იარაღის გამოზიდვა ვერ მოასწრეს, განადგურებდნენ მაინც. შესაძლებელია — სწერენ გაზეთები, — რომ რუმინელებმა ნავთიანი ადგილებში ყველა მოწყობილება გაანადგურეს, რის გამოც გერმანელები კარგა ხნის განმავლობაში ნავთის დამუშავებას ვერ შესძლებენო

— ბუქარესტის მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი ისევ ქალაქში დარჩენილა, რადგანაც იქიდან გამოსვლის საშუალება არა ჰქონიათ.

— ბუქარესტიდან მცხოვრებთა გამოსვლა ჯოჯოხეთურ პირობებში მომხდარა. გარდა იმისა, რომ სამი მხირიიდან მომდგარი გერმანელები და ბულგარელები გამუდმებით ისროდნენ ზარბაზნებს ბუქარესტის ახლო მახლო, ბუქარესტიდან აღმოსავლეთისაკენ მომავალ გზებზე გერმანელთა მრავალი საფრენი გამოქცეულებს თავს დატრიალებდა და ყუმბარებს უშენდნენ. მათი გაბედულება იქამდე მისულა, რომ დაბლა დაშვებულან, მიწაზე დაუდგამთ ტყვიის მფრქვეველები და ხალხისათვის ჯოჯოხეთური სროლა აუტეხიათ.

— ოლტენის ოლქში ჟურჟევაში და კრაიოვში გერმანელებს დიდი ძალი პური და სხვა და სხვა სურსათ-სანოვაგე უგდიათ ხელთ, კერძო პირებისათვის ძალით ჩამოურთმევიათ ასეთები და მისი განაწილების თვის სისტემა შემოუღიათ.

— მოლდავიიდან და აღმოსავლეთ ვალახიიდან აყარებული ლტოლვილნი მოაწყდნენ ბესარაბიასა და მოლდოვასია.

— **საბერძნეთი** ფრანგული გაზეთები იტყობინებიან, რომ ქ. ლარისასთან ულუმბოს მთიდან, რომელიც მთელ ეგეის ზღვას ზედ დაჰყურებს, ქ. კატერინამდე, სალონიკიდან სულ 65 ვერსტის მანძილზე საბერძნეთის მთავრობა დიდძალ ჯარს უყრის თავს.

— „დეილი ტელეგრაფ“-ის პირადან შემდეგი ცნობა მიუღია: საბერძნეთის მეფეს მოკავშირეთათვის განუცხადებია, შეთანხმებულ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისათვის, როგორც კი მოკავშირენი დიპლომანტიურ ურთიერთობის შეწყვეტას განიზრახვენ ჩვენთან, მაშინვე გერმანეთის მივემხრობი-ო.

— 19 ნოემბერის შემდეგ ვენიზელოსისტების გაზეთები აღარ გამოდიან, ხოლო მთავრობის მომხრე გაზეთებმა ცოტა ოდნავ გამოიცვალეს და იმასაც კი სწერენ, რომ საბერძნეთის მთავრობა პატივს უნდა სცემდეს მოკავშირეებსაო.

— ათინის გაზეთები იტყობინებიან, რომ მარტო ათინის ოლქში 70 ათასი ზეზერვისტისათვის მოუყრიათ თავი ბერძნებს.

— **საბერძნეთი.** ისპანიის, შეერთებულ შტატებისა და ნიდერლანდის ელჩებს საბერძნეთის მთავრობისათვის პროტესტი განუცხადებიათ 19 ნოემბერს ათინაში უცხოელთა დარბევის გამო.

— ვენიზელოსს დეპეშით განუცხადებია შეთანხმებულ სახელმწიფოებისათვის, ბერძნებს არავითარი დანაშაულობა არ მიუძღვით 19 ნოემბერს ათინაში და პირეიში მოკავშირეთა ქვეშევრდომებზე თავდასხმაშიო. ერთად-ერთ დამნაშავედ ამ საქმეში ვენიზელოსი მეფე კონსტანტინეს სთვლის.

— პარიზიდან ცნობები მოსულა, რომ მეფის მომხრენი ვენიზელოსის მომხრეებს სადაც კი მოასწრებენ იქვე ატუსაღებენ, უცვივდებიან სახლში, არბევენ და ციხეებში მიყავთ.

— საბერძნეთში სურსათ-სანოვაგის შეზიდვა ამ ხანად ძლიერ შემცირდა განსაკუთრებით მძიმე პირობებში იმყოფება მცხოვრებთა ულარიბესი ნაწილი.

— **სამხედრო მოქმედება.** პეტროგრადის ცნობების მიხედვით გენ. სარაილის ჯარის მდგომარეობა დღედადღე უარესდება; გერმანელ-ბულგარლები მძლავრ საარტილერიო ბრძოლას აწარმოვებენ. განსაკუთრებით ცუდი პირობებია შექმნილი მოკავშირეთათვის სტრუმის ახლო-მახლო, რადგანაც აქ სამხედრო მოქმედებას ადგილ-მდებარეობის უსწორ მასწორობა ძლიერ აფერხებს და ზედ კიდევ უამინდობა დაერთვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქ. რიგას წინ გერმანელებმა დაზვერა განაახლეს. დროდადრო რუსების პოზიციებს ძლიერ საარტილერიო ცეცხლს უჩენენ. ზევრ ალაგას გერმანელები არა კმაყოფილდებიან თავის სიმაგრეთა სიმტკიცით და უფრო აძლიერებენ.

— ბოლო ხანს გერმანელ ავსტრიელები გალიციაში სამხედრო მოქმედებას ერთობ აძლიერებენ. იერიშები შეჯგუფებული ძალებით მოაქვთ და მძიმე არტილერიით ფართედ სარგებლობენ. საიერიშოდ ოსმალებს ხშირად გზავნიან.

— **სხვა და სხვა ცნობები.** შვედურ გაზეთებს სასწრაფო ცნობა მიუღიათ ბერლინიდან, რომ გერმანიაში განსაკუთრებული ხასიათის და მნიშვნელობის ამბები მოხდება მოკლე ხანში ო. ამ დღეებში რეიხსტაგში კანცლერი ფრიად მნიშვნელოვან სიტყვას წარმოსთქვამს. ამის გამო მას მოუხდენია წინასწარი ყრილობა რომელზედაც დეპუტატები შუა ღამისას დეპეშით მიუწვევია პროვინციიდან. აზრი და შინაარსი კანცლერის მომავალ განცხადებისა არავინ უწყის, ხოლო ერთი რამ კი ცხადია, სახელდობრ, რომ იგი ბერლინსა, ვენას, სოფიასა და სტამბოლის შორის მომხდარ მოლაპარაკება-შეთანხმების შედეგია. იგივე განცხადება გამოქვეყნებული იქნება ცენტრალკოალიციის ოთხსავ სახელმწიფოში.

— ბისკაის ყურეში გერმანულ წყალქვეშას დანიის გემი „ნექსო" ნაღმით ჩაუძირავს.

— ატლანტიის ოკეანეში ამ ორი კვირაში გერმანულ წყალ-ქვეშებს სხვადასხვა სახელმწიფოების 20 სავაჭრო გემი დაუღუპავთ.

## სამხედრო მიმოხილვა

ის მოსაზრება, რომ გერმანელები რუმინიის ასპარეზზე შეტევას თავს გაანებებენ ® თავდაცვაზე გადავლენო, რაც ხანი გადის, სავსებით მართლდება.

ერთი კვირა გავიდა, რაც გერმანელ-ბულგარელთა შეერთებულ ლაშქარს წინ აღარ წაუწევია და ბუზეოს მიდამოებს არ გადასცილებია.

ამ ადგილებში გერმანელები ძლიერ ბრძოლებს აწარმოებენ და იერიში იერიშზე მიაქვთ არა იმიტომ, რომ სძლიონ თავის მოპირდაპირის წინააღმდეგობა და წინსვლა განგრძონ, არამედ იმისთვის, რომ იმ დროს, როდესაც თავისი მოწინავე ჯარი მტრის ძალებს აბანდებს, მისი ზურგით ძლიერი სიმაგრეები ააგონ.

დაასრულებენ თუ არა ბრძოლის ხაზის დასავლეთით მდებარე ადგილების გამაგრებას, იერიშებს შესწყვეტენ და თავდაცვაზე გადავლენ.

ნუ თუ ბუზეოს ბრძოლები არ მოგვაგონებს მდ. დვინის ხაზზე შარშან ატეხილ ბრძოლებს; მაშინაც ასე მოიქცნენ გერმანელები: დვინის ხაზს დაჟინებით უტევდნენ, ვითომ ამ მდინარის გადალახვა ჰქონოდეთ მიზნად, მაგრამ გერმანელების ნამდვილი მიზანი მაშინ გამოაშკარავდა, როდესაც გერმანელებმა იერიშები შესწყვიტეს და თავდაცვაზე გადავიდნენ, რუსებმა თვითონ იწყეს შეტევა, მათ წინ დახვდათ მტკიცე სიმაგრეები, რომლებიც გერმანელებს მაშინ აეგოთ როდესაც ისინი მდ. დვინაზე შეტევას აწარმოებდნენ.

მეორეს მხრით ბრძოლის ხაზი იმდენად გამოასწორეს და შეამოკლეს, რომ მისი დაცვა საგრძნობლად ადვილდება და მათი მდგომარეობა რუმინეთში მათთვის საშიშს არაფერს წარმოადგენს.

დობრუჯაში მყოფი მოკავშირეთა ჯარი ვერ შემოუვლის მათ ჯარს, იმიტომ რომ დუნაის ქვედა მომდინარეობა იცავს, ხოლო უფრო ჩრდილოეთით მათი ბრძოლის ხაზი თითქმის სრულიად საშიშო არ არის შემოვლისაგან.

გერმანელები იმ შემთხვევაში განაგრძობენ რუმინიით შეტევას, თუ რაიმე მოულოდნელი მოხდა სხვა ას პარეზებით.

მვერელი.

### ქ. ქუთაისი, 3 დეკემბერი.

**სომხების ტერტერების განზრახვა.** სომეხთ ტერტერებს გაუზრახავსთ დააარსონ სომხური სამრევლო სკოლები იმ გრიგორიანებისთვის, რომელნიც ქართულად ლაპარაკობენ. კეთილი. მაგრამ ქართლ-კახეთის გრიგორიანების დიდი უმეტესობა — ტომით, ზნით, ჩვეულებითა და ენით — ქართველები არიან და, როდესაც ჯერ ქართული სკოლები არ მოეპოებათ, სომხური რად უნდათ?!

ცხადია, ტერტერებს ის კი არ აქვსთ მიზნად, რომ მდაბიო ხალხი გაანათლონ, არამედ ის, რომ გაასომხონ. მაშასადამე, მათი მიზანი — ვიწრო — ეროვნულია. და ვერ ვიტყვით, რომ მათი განზრახვა აუსრულებელი იყოს: სარწმუნოებას დიდი ძალა და გავლენა აქვს და, თუ კი თფილისის განათლებული ქართველი გრიგორიანებიც კი თავს სომხებად აღიარებენ, მდაბიო ხალხზე რა-ღა უნდა ითქვას?!

დიაღ! როდესაც ქართველმა ერმა წაიბორძიკა, ყველამ მისი დაწიხლვა და გათელვა მოინდომა, გარეშემაცა და შინაურმაც.

ვინ იფიქრებდა, რომ თავისი სამშობლოდან გადმოხვეწილი, ლტოლვილი სომხები ქართველთა სტუმართმოყვარეობას არ დაისწავლიდენ და თავის გამაბედნიერებელთავე გულ-ღვიძლის ღრღნას ხელს მიჰყოფდნენ!

ბატონყმობა მათ თავისი მიზნისათვის მოიხმარეს, აუარებელი ლტოლვილი ქართველი გააგრიგორიანეს და თავის მოძმეთვე მიუსიეს. და ხატისოვები (ხატისაშვილები), თუმანოვები (თუმანიშვილები) ჯანოევები (ჯანაშვილები) და სხ. ნამდვილ სომხებზედაც კი უფრო სომხობენ.

ილია ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადის" წინასწარმეტყველება ამ საშინელი ომის დროს სავსებით გამართლდა. მაგრამ ახლა ანგარიშების დრო არ არის: ისედაც დიდი გაჭირვება გვადგია, რომ შინაური ბრძოლით კიდევ უფრო არ გავუჭირვოთ თავს საქმე.

მხოლოდ ერთი რამე ვერ გამიგია: ვაჭრობაში ფრთხილი და თადარიგიანი სომხები რატომ არიან ასე აჩქარებული პოლიტიკაში?! ეს კია, რომ ყველაფერი ცვთება და ჰქრება, რაც არ ვარჯიშობს, და ალბად სომხების პოლიტიკური გადაგვარებაც მათი სახელმწიფოებრიობას ადრე დაცემის შედეგია!

რასაკვირველია, სწორეთ: ხან ერთს კედელს შეეხლებიან, ხან მეორეს და, ათასჯერ რომ თავი გაიხეთქონ, ჭკუას მაინც ვერ ისწავლიან ხოლმე!

შეიძლება, მათს შეცთომებში იმასაც ედვას წილი, რომ ვაჭრობა, სიმდიდრე, კაცს ამედიდურებს. პოლიტიკაში კი მედიდურობა დამღუპველია და პირიქით, სიფრთხილეა საჭირო.

ძველი კართაგინელები უფრო მდიდრები იყვნენ რომაელებზე, მაგრამ დამარცხდენ და აღიგავენ პირისაგან ქვეყანისა.

და, ვფიქრობ, რომ მეტადრე თვითეული პატარა ერი მოვალეა დაიჭიროს თადარიგი, ე. ი. კეთილი განწყობილება მეზობელ ერებთან.

რაც შეეხება სომხებს, დროა შეიგნონ, რომ ის ნეტარი დრო წავიდა, როდესაც ქართველობა ერთი მხრით მცონარე თავადაზნაურობისა და მეორე მხრით მისი ყმებისაგან შესდგებოდა. და, თუ თავს არ მოატყუებენ და თვალს გაახელენ დაინახავენ, რომ ქართველობა სავაჭრო სამრეწველოსა და ინტენსივური მეურნეობის ასპარეზზე უკვე გამოვიდა. მაშ ნუღა გვიყურებენ იმავე თვალით, რა თვალითაც მათი მამები გვიყურებდენ, ნუ სთვლიან ქართველ ერს მხოლოდ მათთვის გამოსადეგ მეწველ ფურად და, იცოდენ, რომ თვითეულს მათს შემომტევ მოქმედებას ქართველთა მხრით განვითარებული ეროვნული შეგნება გადაეღობება! და, თუ ან სხვისთვის ან თავისთვის სიკეთე უნდათ, ახლანდელი პოლიტიკა აუცილებლად უნდა შესცვალონ და სულ სხვა საფუძველზე დაამყარონ.

ისარი.

## სახელმწიფო სათათბირო

(შეტ. დეპ. სააგ.)

**კრების განახლება და სასურსათო საკითხის განხილვის გაგრძელება.**

2 ს. და 11 წ. კრება ისევ იხსნება. თავმჯდომარეობს ნეკრასოვი.

**სტეპკოვსკი** აღნიშნავს, რომ ეხლა უაღრესად საჭიროა მსხვერპლი. პურის დაკავების საქმეში გაზეთებსაც მიუძღვისთ ბრალი, რადგან დაუსრულებლად სწერენ რაღაც აგრარიებზედ, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. სოფლის მეურნეთ ბრალსა სდებენ, თითქოს ფულის შეძენა სურდესთ და სამრეწველო დაწესებულებათა აუარებელ მოგებას კი ივიწყებენ. ორატორის აზრით, მრეწველობაც და სოფლის მეურნეობაც სახელმწიფოს თავდაცვისათვის უნდა მუშაობდნენ.

**იაგოდინსკი** მთავრობას ამტყუნებენ, სამუშაო გეგმა არა აქვსო. მაგრამ დამნაშავენი არიან ის თათბირებიც, რომლის წევრებად საკანონდებლო დაწესებულებათა წარმომადგენლებიც არიან. უმთავრეს ბოროტებას მტკიცე ფასები ჰქმნიან და კიდევ უარესია ის, რომ მის მომატების წინამღმდეგნი არიან (ტაში ცენტრში და მარჯვნივ).

**კარაზინი** ფიქრობს, რომ სურსათი საკმაოა, მხოლოდ სოფლის მეურნეობა მოუწყობელი მთავრობამ არამც თუ მოინდომა მისი მოწყობა, არამედ ლონეს ნობდა, რომ არსებული ორგანიზაციები ყოველ ღოდაენგრია.

**ლ. ოკულიჩი** ლაპარაკობს სიძვირის შესახებ და დაასკვნის, რომ კერძო ბანკებმა გერმანეთის ფულით მოაწყეს სპეკულიაცია და ამით გამოიწვიეს ცხოვრების სიძვირეო. ორატორი მოითხოვს სპეკულიანტები დამძარცველ-მგლეჯელნი სამხედრო-საველე სამართალში იქმნენ მიცემულნიო.

ოთხის ნახევარზე კრება შესწყდა. 5 საათზე განახლდა. თავმჯდომარეობს **როძიანკო** მინისტრთა ლოჟაში სინოდის ობერ-პროკურორი რაევია. უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგის მეორე თანამდებობის დანიშვნის შესახებ ლაპარაკობენ. შეკითხვის ავტორნი წინადადებას იძლევიან ეკითხოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს და სინოდის ობერ-პროკურორს, იციან თუ არა, რომ სათათბიროს დაწესებულების 31 მუხლის დარღვევით დაწესდა მეორე თანამდებობა ოგერ-პროკურორის თანაშემწისა და თუ ეს იციან, რა ზომები იქმნა მიღებული კანონიერი წესის აღსადგენადაო?

ამ საკითხის შესახებ მსჯელობა ცენზურამ არ გაუშვა

## სრუტეები და სტამბოლი.

მთავრობის დეკლარაციამ რუსეთის საზოგადოების მოლოდინი არ გაამართლა. ახალ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედან ხალხი რაღაც სხვა შინაარსის სიტყვას ელოდა. მთელი დეკლარაცია რაღაც წყლის ნაყვას წააგავდა; აბდა-უბდა სიტყვების რაკუნი გამოდიოდა. მასში მხოლოდ ერთი ალაგი იყო ყურადღების ღირსი და ეს ალაგი „სრუტეების და სტამბოლის" საკითხი შეიქმნა.

სახელმწიფო სათათბიროს კათედრიდან ჯერ ჩვენ არ გაგვიგონია, რომ შეთანხმების სახელმწიფოთა შორის სრუტეების და სტამბოლის შესახებ პირობა ყოფილიყოს დადებული და ეს ალაგები რუსეთისთვის ყოფილიყო დათმობილი. ამ პირობას, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს არა თუ რუსეთისთვის, არამედ მთელი ევროპისთვის, მაგრამ მას სრულებით არაფერი არ ჰქონდა, მის, ბ-ნი ტრეპოვის, დამოკიდებულებას სახელმწიფო სათათბიროსთან.

საკვირველი ის პირობა, რომლის შესახებ, რომელიც ჩვენ დღეს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტრეპოვიდან გვესმის 1915 წლის ივნისში განხორციელებულა, მაშასადამე მისი მნიშვნელობა სრულიად მაშინდელ გარეშე საქმეთა მინისტრს საზონოვს უნდა მიეწეროს და არა დღევანდელ მთავრობას.

მართალია ბ-ნი პრემიერი ამ პირობას იხსენიებს, როგორც ხალხის ენერგიის ამმაღლებელს; მისი სიტყვით რუსეთს დიდ გამოცდის შემდეგ, დიდებული მძლევისი მოელის, მაგრამ თვით სიტყვა უადგილო დროს იყო წარმოთქმული.

მახსოვს 1915 წლის გაზეთები გაიძახოდენ, რომ ჩვენი, მტრის ზარდამცემი, გალიციაში წინსვლა და ჩვენ შეთანხმების სახელმწიფოთა დარდანელში შეჭრა მთელ ჩვენ კოალიციას აღფრთოვანებდა. გალიციის გამარჯვება და ნემეცთა შეერთებულ ძალების წინააღმდეგობა, მაიდან დიდი ზარალის ატანა ზნეობრივ უფლებას გვაძლევდა ჩვენ სრუტეებზე და სტამბოლზეც, რომელთაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთისათვის. მართალია დარდანელი შეთანხმების ჯარს უნდა აეღო, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენ დიდი სისხლის ღვრით გალიციაში თითქმის შესყიდული გვქონდა სრუტეები და სტამბოლი.

აი, ეს საფრანგეთის, ინგლისის და რუსეთის შორის დადებული პირობა, რომელზედაც შემდეგ იტალიაც დათანხმდა, 1915 წლის ივნისის მოქმედებას ეკუთვნის; ჩვენ კი სათათბიროს კათედრიდან 19 ნოემბერს 1916 წლისა გავიგეთ.

დეკლარაციაში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გადმოგვცა, რომ სრუტეებზე და კონსტანტინოპოლზე რუსეთის უფლება წინდახედულად განმტკიცებულია და ამას ბ-ნი ტრეპოვი იხსენიებს მისთვის, რომ რუსეთის ხალხმა იცოდეს, თუ რაა ამოდენა სისხლის ღვრის მიზანი და რისთვისაა რუსეთის ხალხი ამოდენა შეწუხებისა და შევიწროებაში.

რისთვის მოხდა, რომ რუსის ხალხმა შეიტყო 19 ნოემბერს 1915 წ. ის, რაც უნდა შეეტყო მას 12 ივნისს 1915 წ.

რისგან მოხდა, რომ ეს სენსაციური ამბავი, რომელიც ჯარს ენერგიას მიუმატებდა, გაამაგრებდა, მამაცობას შესძენდა, რაც ასე ძრიელ საჭირო იყო ომისათვის, აქამდი არ გამოქვეყნდა და მით ჯარის აღფრთოვანებას ბევრი დააკლდა.

რისთვის ეს ამბავი ჩვენ პრემიერად ყოფილმა გარემიკინმა არ გამოაქვეყნა. რისთვის მინისტრთა საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ შტიურმერმა არ მოგვილოცა და მხოლოდ დღეს ვეღირსეთ ამ საიდუმლოების ფარდის ახდას.

მესმის გლახა შემწუხებელს ამბავს ჭირისუფალს დამალვით, ნელ-ნელა შეუმცხადებენ, მაგრამ ამგვარ სასიხარულო საქმეს, როგორც სრუტეების და სტამბო-

## დაფნისი და ქლოია

**ანტიური მოთხრობა ლონგუსისა.**

**წიგნი მეოთხე.**

(დასასრული)

32. და ყველამ თავისი თვალით იხილა, თუ რას ნიშნავს ლამაზი და მშვენებით სავსე ტანი შესაფერ სამოსში: ძვირფას ტანსაცმელში გამოწყობილი, ლამაზად დაწნული ხუჭუჭი თმით და სუფთად პირდაბანილი დაფნისმაც ძლივს იცნო მორცხვი ქლოია. ნიშნებიც რომ არ ყოფილიყო, მაინც მიხვდებოდნენ, რომ დრიასის შვილი არ იყო ის. თავის ცოლთან ერთად ისიც მიწვეული იყო ნადიმზე. პირდაპირ ლამონი და მირტილა უსხდნენ. მეორე-მესამე დღეს ქლოიას მიზეზით გამოწვეული მსხვერპლშეწირვა მოხდა და ხელახლა დაიწყეს ნადიმ-ზეიმი. ქლოიამაც ღმერთებს შესწირა სალამური, ჩანთა, თხის ტყავი და საწველელები. ღვინო ჩაუშვა გამოქვაბულს წყაროში, რადგან იქ აწოვა მას ძუძუ ცხვარმა და იქვე იბანდა ხელფეხსა და პირს. შემდეგ ცოცხალი ყვავილების გვირგვინით შეამკო მისი მაწოვებელი ცხვრის საფლავი. ქლოიამაც დაუკრა უკანასკნელად სალამური, შემდეგ ევედრა და სთხოვა, რომ თუ ოდესმე აღმოჩნდებოდნენ მისი მშობლები, დაფნისის და საკადრისი ყოფილიყვნენ.

33. დიდებულად მოითავეს სოფლის დღესასწაული და ქალაქს დაბრუნებისათვის ემზადებოდნენ, იქ უნდა ეპოვნათ ქლოიას მშობლები და ქორწილი გადაეხადათ. წამოსასვლელად მზადების შემდეგ, ერთ დილას, დრიასს კვალად აჩუქეს სამი ათასი დრახმა; ლამონს მთელი მიწა-ადგილების შემოსავლის ნახევარი დაუნიშნეს, თხის ფარა მწყემსებით აჩუქეს, ყვავარი ხარ კამეჩი, საზამთრო ტანისამოსი და თავისუფლება მიანიჭეს მასა და მის ცოლს. შემდეგ მიტილენისაკენ გაემართნენ მრავალი ეტლითა და ცხენოსანთა თანხლებით. რადგან ღამით მიდიოდნენ, მოქალაქეთ ვერ შეიტყვეს იმ დღესვე მათი მობრძანება. მეორე დღეს კი აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი გალავნის კარებთან. მამაკაცნი დაკარგული შვილის პოვნას ულოცავდნენ დიონისოფონს და უფრო მეტ აღფრთოვანებას იწვევდა მათში დაფნისის სილამაზე. კლეარისტას სიხარულსა და ბედნიერებას შუა იყოფდნენ ქალები, რომ შვილი და რძალი იპოვნა. და ყველა განცვიფრებაში მოჰყავდა ქლოიას სილამაზეს. მთელი ქალაქი მოძრაობდა, ყველას უკვირდა ორი ახალგაზდის სილამაზე და მშვენება, მათი შესაფერობა სურვილს გამოსთქვამდნენ, რომ მისი ხვედრის ღირსეული ყოფილიყო ქლოიას შთამომავლობა. ბევრი მოიდარ ქალთაგანნი შესთხოვდნენ ღმერთებს და ნატრობდნენ: ნეტავი იმ მშვენიერი ასულის მშობელი მე გამოვდგეო.

34 დიდი ფიქრის შემდეგ, ტკბილ ძილს მიეცა დიონისოფანი და აი რა დაესიზმრა: ფერიანი ემუდარებოდნენ ეროსს, დათანხმებულიყო მათს კავშირს. ეროსმა მოუშვა შვილდი, დაიწყო ერთად და უბრძანა დიონისოფონს, მოეწვია ნადიმზე მიტილენის ყველა წარჩინებული მოქალაქე,—და, როდესაც უკანასკნელ თასს ჩამოატარებდნენ, მასთან ქლოიას სამახსოვრო ნიშნებიც ეჩვენებინა მოწვეულთათვის და ეგალობნათ საქორწინო ჰიმნი. მისნური სიზმრით განცვიფრებულმა დიონისოფონმა მეორე დილასვე უბრძანა მომზადებულიყვნენ დიდებული ზეიმისთვის და მოეპატიჟნათ მიტილენის ყველა სახელგანთქმული მოქალაქე. ნადიმის დასასრულს, როდესაც უკანასკნელი თასი უნდა ჩამოეტარებინათ ჰერმესის პატივსაცემად და სადიდებლად, ერთმა მონამ ვერცხლის რასინზე დაწყობილი ნიშნები ჩამოატარა და ყველა მოპატიჟეყულთ უჩვენა თითოთითოდ.

35. გარდა მეგაკლისა, ყველამ განაცხადა, რომ ვერ იცნობენ; ის კი მოხუცებულობის გამო საპატიო ადგილზე იჯდა, სუფრის თავში და უკანასკნელად მასაც უჩვენეს. ნიშნების დანახვისათანავე, გახარებულმა დაიძახა:

— ამას რას ვხედავ?! სადა ხარ, ჩემო ბავშვო? ნუთუ ცოცხალი ხარ? ან იქნება მხოლოდ ეს ნიშნები და გადარჩა უვნებლი, რომელნიც მეცხვარემ შეინახა? დიონისოფონ, ვინ მოგცა შენ ჩემი ასულის ნიშნები? ნურც მე მომაკლებ იმ ბედნიერებას, რომელიც შენ განიცადე შენი შვილის პოვნით!

დიონისოფონმა სთხოვა დაწვრილებით ეამბნა, სად და როგორ დასტოვა თვისი ასული, რაზედაც შემდეგი პასუხი მიიღო:

— იმ ჟამად, როდესაც დიდ სიღარიბეს განვიცდიდი,—რადგან მთელი ჩემი ქონება სახალხო გასართობებსა და სალაშქრო საქმეს გადავაგე,—გაგვიჩნდა ასული. იმისი შიშით, რომ სელატაკესა და გაჭირვებაში აღიზრდებოდა ჩემი ბავშვი, შევხვიე მასთან ეს ნიშნები და დავტოვე ღვთის ანაბარად, რადგან ვიცოდი, რომ არიან ქვეყანაზე მრავალი უშვილონი, რომელნიც დიდი ხალისით და სიხარულით ზრდიან უცხოთა შვილებს. ვუბრძანე ფერიათა გამოქვაბულში დაეტოვებინათ იგი და ღმერთთა მფარველობა მივანდე მისი ბედი. შემდეგ ბედმა გამიღიმა, შევიძინე სიმდიდრე და მემკვიდრე კი აღარ გვეყოლა, არამც თუ ვაჟი, ასულიც აღარ გვაღირსა ღმერთმა და თითქოს დამცინოდნენ ღმერთები, ყოველღამ მესიზმრებიან და მაიმედებენ, რომ ცხვარი დაგიბრუნებს ასულსო.

36. ამის გაგონებაზე უფრო ხმამაღლა შეჰყვირა დიონისოფონმა, მაშინვე წამოხტა და უბრძანა მოეყვანათ მდიდრულად გამოწყობილი ქლოია და მიმართა:

— აი ის ბავშვი, რომელიც უპატრონოდ გადააგდე შენ. ღმერთებმა იზრუნეს და ცხვარმა გამოზარდა ის, ვით თხამ — დაფნისი. მიიღე ნიშნები და ასული შენი დაიბრუნე და მიათხოვე ჩემ შვილს. ჩვენ ორივემ მოვინდომეთ მათი თავიდან მოცილება და ახლა ორივემ ვიპოვნეთ ისინი; ჩემი შვილი და შენა ასული გადარჩნენ სიკვდილს, რადგან პანი, ფერიანი და სიყვარულის ღმერთი მფარველობდნენ მათ.

მეგაკლი სიამოვნებით დათანხმდა, მოუწოდა მეუღლეს და დიდხანს ჰყავდათ მკერდში ჩაკრული ქლოია. ნადიმის დასასრულს, მოსვენების ჟამი დადგა, ყველანი დიონისოფონთან დარჩნენ ღამის გასათევად, რადგან დაფნისმა დაიჩემა, რომ ეხლა კი აღარავის ვანდობ ქლოიას, თვით მის ღვიძლ მშობლებსაც კიო.

37. მეორე დღეს, დაფნისისა და ქლოიას დაჟინებით, გადასწყვიტეს სოფელში დაბრუნება,—ვერ შეეჩვივნენ ქალაქის ცხოვრებას. ამას გარდა, ქორწილიც სოფლის ადათ—ჩვეულებისამებრ უნდა გადაეხადათ. დაბრუნდნენ სოფლად, სადაც დრიასი გააცნეს მეგაკლს და ნაპე—როდეს და ყველამ ერთად დაიწყეს მზადება ლხინ-ზეიმისთვის. მეგაკლმა ფერიათ უძღვნა ქლოია; სხვა მრავალ შესაწირავთა შორის ქლოიას ნიშნებიც შესწირა და დრიასის სალაროს კი ათი ათასი დრახმა შემატა.

38. ისარგებლა დიონისოფონმა მშვენიერი ამინდით და მწვანე შტოთა სეფას გაწყობა უბრძანა ფერიათა გამოქვაბულის წინ. მთელი ახლო მახლო სოფლის მცხოვრებნი მიიპატიჟა ქორწილზე. აქ იყვნენ: ლამონი და მირტალა, დრიასი და ნაპე,

ლის შერჩენაა, რისთვის მალავდენ, არ ვიცი.

აქ კიდევ ახალი საიდუმლოება უნდა იყოს.

მაშ დღეიდან გვეცოდინება, რომ სრუტეები და სტამბოლი დღეს თუ ხვალ რუსეთის უნდა შეიქმნეს. ჩვენთვის დიდი სასიხარულოა ამგვარი დიპლომატიური წინსვლა. ყოველ შემთხვევაში ამგვარი საქმის გადაწყვეტა ბედნიერებას მოგვიტანს.

საქმე იმაში კი არაა, ოლეგის ფარი იყო მიკრული „ქალაქთა მეფის“ შესავალ კარზე, თუ არა; ან რუსული ჯვარი იქნება აია სოფიის ეკლესიის გუმბათზე, თუ ბულგარული, არამედ საქმე მასშია, რომ მოხსენებული სრუტეები რუსეთისათვის კარის კლიტეა, საიდანაც მან ევროპაში პური უნდა გაიტანოს და იქიდან ოქრო უნდა შემოიტანოს. რუსეთი პურის ქვეყანაა და თუ მას გზა არ მიეცა, იგი, რომ იტყვიან, „კურიოზულ მდგომარეობაში“ ჩავარდება, როგორც აქამდი არა ერთხელ ვარდებოდა.

ჩვენი პური სახლში ლპება და გასავალი გზა არა აქვს. ამ ამბავს უწინ იმოდენა მნიშვნელობა არ ქონდა, მაგრამ დღეს, როცა არგენტინა და კანადა პურის გაზიდვაში რუსეთს მეტოქეობას უწევენ ჩვენთვის სრუტეებს იმგვარი დიდი მნიშვნელობა აქვს, რომლის მზგავსი ეკონომიური ინტერესის თვალით აზრით რუსეთში სხვა არ მოიძებნება.

ახლა აიღეთ რუსეთის მდგომარეობა: ოსმალეთს და ბულგარიას შორის უსიამოვნება ატყდა, სრუტეს კეტამენ და მეომარ ხელმწიფეთა უფრო მეტი ზარალი რუსეთს მოსდის; ოსმალეთ და იტალიას შუა კონფლიქტი გაიმართა, სრუტეებს კეტენ და რუსეთი დიდი ზარალისთვის მოემზადე და შენი პურის მოსავალი თუ გინდ თავზე იყარე, რადგან ბალტიის ზღვით ხორბალი ყოველთვის არ გადიტანება და კიდეც რომ გადიტანო, მისი ფრაქტი ხორბალზე უფრო ძვირად ჯდება. მაშ ჩვენთვის ერთ-ერთ გასაღებად დარდანელის და ბოსფორის სრუტეები უნდა ვიანგარიშოთ. სხვაფრივ გზა არ გვაქვს. დღეს კი ჩვენ ერთ დიდ ხორბლის საწყობ მაღაზიას წარმოვიდგენთ, რომელიც დაკეტილია და მისი კლიტე ჩვენ ხელთ არაა.

პ. იეჩიტელი.

# დეპეშები

## ხმები ზავის შესახებ

**სტოკჰოლმი.** 29 ნოემბერი. ავსტრო-უნგრეთისა, გერმანიისა, ოსმალეთისა და ბულგარიის მთავრობებმა ნოტით მიმართეს იმ სახელმწიფოთა დიპლომატიის წარმომადგენლებს, რომელთაც მინდობილი აქვთ დაცვა მოწინააღმდეგე სახელმწიფოებში მცხოვრებ მათ ქვეშევრდომთა და აღნიშნავენ, რომ ზემორე დასახელებული მთავრობანი მზად არიან მოწინააღმდეგეებთან დაიწყონ მოლაპარაკება ზავის შესახებ. ამასთანავე თხოულობენ, რომ თავ-თავის მთავრობათა შემწეობით ამ დიპლომატებმა ეს ამბავი შეატყობინონ მოწინააღმდეგე სახელმწიფოებს და ამავე დროს იშუამდგომლონ პაპის წინაშე, რათა მან მონაწილეობა მიიღოს ამ მოლაპარაკებაში.

ნეიტრალურ სახელმწიფოთა დიპლომატებსაც ეცნობათ ეს ამბავი, რომ მათ თავის მხრით შეატყობინონ თავ-თავის მთავრობას.

# ახალი ამბავი.

ხვალ, შუადღის 12 საათზე ქალაქის თეატრში, სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის თაოსნობით შესდგება ლექცია. ლექციას წაიკითხავს ალ. გარსევანიშვილი შემდეგ თემაზე: „საქართველოს ერთობის მოლადებლი — სოლომონ ლეონიძე, კანცლერი მეფე ერეკლესი და სოლომონისა. მოღვაწეობა მისი ქართლ კახეთში და იმერეთში“. ლექციის დასასრულ მანდოლინისტების გუნდის მიერ შესრულებული იქნება 2—3 მუსიკალური პიესა.

✦ ქალაქის გამგეობის მიერ ახლად მიღებული ფქვილი, როგორც მოხსენებული გვქონდა უმეტესი ნაწილი უვარგისია, ხოლო რაც ვარგა იმასაც ერთობ ცუდათ აცხობენ ადგ. მეპურეები, მათ აღვირახსნილობას აღარა აქვს საზღვარი... ყურადღებას კი არავინ აქცევს... აღსანიშნავია რომ იმავე ფქვილიდან გამომცხვარი პური (სახ. „კოოპერაციის“ ფურნეში) გაცილებით უკეთესია, როგორც ღირსებით ისე სითეთრით. საჭიროა მეპურეთა თავგასულობას ვისგანც ჯერ არს ყურადღება მიექცეს.

✦ ორშაბათს ქალაქის გამგეობის დარბაზში შესდგება საბჭოს სხდომა სხვადასხვა საკითხების განსახილველად.

✦ გუშინ ახლო-მახლო სოფლებიდან დიდ-ძალი სახლში ამოხვეული აბრეშუმი და ნაქსოვი ფუთქი შემოიტანეს. აბრეშუმის ძაფი პირველი ხარისხის იყიდებოდა 1 მ. 10 კ — 1 მან. 40 კ. მეორე ხარისხის, 90 კ.-დან 1 მ.-დე.

✦ ადგ. მომხ. საზოგადოება „კოოპერაციამ“ უკვე მიიღო ერთი ვაგონი ფხვნილი შაქარი რომლის გაყიდვას გუშინ შეუდგა. შაქარი მსურველთ მიეცემა არა უმეტეს ხუთი გირვანქისა. იყიდება შემდეგ ადგილებში: ბალახვანში, მწვანე ბაზარში, ივანოვის ქუჩაზე, ორპირის ქუჩაზე და გენერლის ქუჩაზე, ამ ქუჩაზე მხოლოდ წევრებისათვის.

✦ გუშინ ქალაქის სასანიტარო კომისიამ სასანიტარო წესების დარღვევისათვის ოქმი შეუდგინა შემდეგ პირებს: ანდრია დანელიას, ანნა ბეთანოვს, და მიხეილ არაზოვს.

✦ ამ ჟამათ სოფლებიდან აუარებელი ბამბა შემოაქვთ გასაყიდად, გუშინ უკაკლო, ბამბა იყიდებოდა გირვანქა 80 კ.-დან 90 კ.-დე, ხოლო კაკლიანი, 25 კ.-დან 30 კ.-დე.

✦ 15 ნოემბრიდან-30-დი ქუთაისში რკინის გზით შემოუტანიათ: მარილი 5 ვაგონი ნავთი 9 ვაგ., პურის ფქვილი 20 ვაგ., თივა 9 ვაგ., ხე-ტყე 3 ვაგ., შაქარი 2 ვაგ. შეშა 49 ვაგ. სხვადასხვა საქონელი 9301 ფუთი.

✦ 1 დეკემბრისათვის ქალაქში შემდეგი რაოდენობის სათადარიგო სურსათ-სანოვაგე იყო: სიმინდი 840 ფუთი, პურის ფქვილი 2192 ფუთი, კრუპა 71 ფ, ბრინჯი 377 ფ., საკლავი საქონელი 76 ფეხი კართოფილი 2672 ფუთი, სამარხვო ზეთი 3 ფ., თევზი 857 ფ., მარილი 5673 ფ., ბზე 40 ფ., ქატო 185 ფ, შეშა 100 საჟენი, ნახშირი 1790 ფ., ნავთი 373 ფ., ასანთი 960 ათეული, საპონი 177 ფუთი, თივა 198 ფუთი.

✦ ბაზრის ზედამხედველმა კორძაიამ გაგარინის ქუჩაზე მეპურე ფოფხაძეს ცოტმი, პურის გაყიდვისათვის ოქმი შეუდგინა ოქმი შეუდგინა აგრეთვე მეფქვილე ისხაკ ელიგულაშვილს, უვარგისი ფქვილის გაყიდვისათვის.

✦ დაჭრილ-დასახიჩრებული ოფიცრები. ამ უკანასკნელ ხანებში თბილისში ჩამოიყვანეს და № 38 ლაზარეთში მოათავსეს შემდეგი დაჭრილი ქართველი ოფიცრები: პრაპ. ნესტორ გრიგოლიძე კოხმავა და ალექსანდრე დავითის ძე გულისაშვილი.

✦ სიმამაცისათვის დააჯილდოვეს შემდეგი ქართველი ოფიცრები. წმ. ვლადიმერის მეოთხე ხარისხის ჯვრით პოდპორ. კონსტანტინე ქორქაშვილი, პორუჩიკი სოლომონ დუჩაძე, შტაბსკაპიტანი ალექსანდრე გეგელაშვილი, კაპიტანი გიორგი კვინიხიძე. წმ. ანნას მესამე ხარისხის ჯვრით: პრაპ. თ.-დი აპოლონ ჩიქოვანი და სტეფანე ფერავა. წმ. სტანისლავს მეორე ხარისხის ჯვრით: პრაპ. აკაკი ასათიანი, სილიბისტრო მარღანია და ნიკო ოკუჯავა. წმ. ანნას მეორე ხარისხის ჯვრით პრაპ. სილიბისტრო მარღანია. წმ. ანნას მეოთხე ხარისხით პრაპ. გიორგი რევია, პოდპ. ტიმოთე კანდელაკი, პრაპ. დავით ურთმელიძე, ვალერიან ჩოჩია და ლეონტი ხვიჩია. წმ. სტანისლავს მესამე ხარისხის ჯვრით პრაპ. ვლ. ივანეს ძე შათირიშვილი.

## გუბერნატორის კანცელარიის ცნობები.

— სოფელ საჩიჯავოში (ზუგ. მ.) 13 ნოემბერს რაჟდენ შამთავა, რაჟდენ აბშილავა და იორდანე ნადარაია თავს დაესხნენ ამავე სოფელში მცხოვრებ გლეხ სამსონ ტირკიას, რომელსაც მოსტაცეს მის სახლში სტუმრათ მისული ქალი, ცაცუ ახალაია, იმ მიზნით, რომ შამთავას უკანასკნელზედ ძალათ ჯვარი დაეწერა. სხვა და სხვა ზომების შემდეგ პოლიციელებმა მოტაცებული ქალი დაატოვებიეს და ყველანი დააპატიმრეს.

— სოფელ. საჩიჯავოში (ზუგ. მ.) 12 ნოემბერს შეიარაღებული ავაზაკები თავს დაესხნენ მაქსიმე ლიპარტიანს და წინადადება მისცეს მიეცა მათთვის 100 მანეთი, როდესაც ფული ვერ მიიღეს, სცემეს მას ძალზე, შემდეგ შეუცვივდენ სახლში იქვე მეზობელს ტაგუ ლიპარტიას, წაართვეს 25 მანეთი და გაუდგენ გზას, ძიების შემდეგ პოლიციელებმა გაიგეს, რომ დამცემლები არიან რაჟდენ აბშილავა, სანდრო ახალაია და აკაკი ქაჯაია, რომელთაგან უკანასკნელი კიდეც დააპატიმრეს და გადასცეს სასამართლოს.

# რა მოგველის ეკონომიურად.

დღესაა, თუ ხვალ; ასე, თუ ისე, ომი გათავდება, ამის შემდეგ, როგორც დღესვე ეტყობა, პირველი ალაგი სახელმწიფოში და თვითეულ ერში პოლიტიკურ და ეკონომიურ კითხვებს ეჭირება, რომელნიც კარგათ უნდა შევიგნოთ და რაოდენათაც კი შეგვიძლია, მომზადებული დავხვდეთ.

ზავის შემდეგ ჯერ ხაზინა იკეტება და ის აუარებელი ფული, რომელიც დღეს გამოდის ერთი მეათედით მაინც შეწუხდება. როგორც ხაზინა ფულის გამოშვების საგრძნობლათ დააკლებს, მაშინვე საზოგადოება მატერიალურად შედრკება.ღვთის რისხვას მხოლოდ მაშინ იგრძნობს: ერთი მხრით დიდი სიძვირე, მეორე მხრით დიდი უფულობა.

შემდეგ დაიწყება ფულის უკან სვლა. ხაზინა მოვალეა დიდი ვალის შესავსებლად თავის გაცემული ფული უკანვე წაიღოს ჯერ, როგორც ფულის პროცენტი და შემდეგ კაპიტალიც. რასაკვირველია საშუალება ამისთვის ბევრნაირია, მაგრამ როგორიც უნდა იყოს იგი, მცხრვრებთა ჯიბემ უნდა ზღოს. მართალია უძრავ ქონების ფასი და სოფლის მამულების ღირებულება აიწევს, მაგრამ მათ იმოდენა გადასახადები მოემატება, რომ თითვეული მათგანი ვაჭრობის მიზანს დაჰკარგავს. სოფლის მამულები იმათ მოუტანს სარგებლობას, ვინც ზედ მუშაობენ და ქალაქის სახლებიც მხოლოდ მათთვის იქნება სასარგებლო, რომელნიც შიგ დგანან. ვაჭრობა მამულების ყიდვა გაყიდვა აქამდეც დაწეული იყო და ამის შემდეგ სულ შეწყდება.

დღეს ჩვენში თითქმის ყველა ვაჭარს ფული აქვს. რაც ვაჭარს თავის აღებ მიცემობაში მომჭირნეობით რჩება ვალებს ისტუმრებს, თითქმის 5-6 პროცენტიან ვალსაც არ იყენებს, მამულებს ბანკიდან იხსნის და დანარჩენი კაპიტალი ან კომერციულ ბანკებში შეაქვს შესანახად, ან უძრავ მამულში ჰყრის. ზემოთ ხაზგასმით მოვიხსენიე „ჩვენი ვაჭრები“, რადგან იგინი დიდად განვითარებულნი ვაჭრობამრეწველობაში არ არიან; ძრიელ კარგად ვხედავთ, რომ მათ თავიანთ კაპიტალისთვის უფრო სასარგებლო და საიმედო საქმე ვერ უშოვნიათ.

სხვა უფრო მოჭირნახულე და კაპიტალის დამფასებელი კაცი 3 და 5 პროცენტათ ფულს არ გააჩერებს, ჩვენ ხომ ინგლისში არა ვართ; ვაჭარი უნდა ეცადოს, რომ რომელიმე საქმე, ან ამხანაგობა შეჰქმნას, კაპიტალი გააძლიეროს და შემდეგ იგი რომელიმე კარგ საიმედო საქმეში მოიხმაროს, რომ მით თავის ჯიბესაც მეტი სარგებლობა მიცეს და თავის სამშობლოს აღებ-მიცემობაც აამაღლოს.

დღეს, ხელში დიდი ფულის ტრიალის დროს, ჩვენში თითქმის ყოველ თვეში ახალ ახალი ამხანაგობა, ახალ ახალი აქციონური საზოგადოება უნდა დგებოდეს. მაგრამ არა, როგორც უღაბურ სოფელში, ერთ-ორ კოოპერატივს დემოკრატია აყენებს და საქმე გათავებულია სად არიან ჩვენი ვაჭრები?

რა დიდ სარგებლობას მოგვცემს შემდეგში, რომ ქართული კაპიტალით აქციონერული საზოგადოება შევაყენოთ და შავ ზღვაში საქონლის ტრანსპორტისთვის ორი სამი ორთქლმავალი და ორი ამი გემი ვიყოლიოთ. მას არც ძრიელ დიდი კაპიტალი დაჭირდება და ჩვენ ნავთსადგურებში კობატაჟურ მინდობილობას შეასრულებს. აიღეთ ბათუმი, ფოთი, სოხუმი, ვისი ხომალდები და ორთქლმავლები იქ არ მუშაობენ: ბერძნების, სომხების, უცხო ქვეყნის მცხოვრებლების და ქართველების კი არა. ჩვენ ქვეყანაში სხვები ფულს ხვეტავენ, ჩვენკი ვდგევართ და ვუყურებთ. სადაა ქართველის მოჭირნეობა, სადაა ქართველის უნარი!

აიღეთ საქონლის გადამზიდავი და დამზღვევი საზოგადოებანი: „რუსეთის საზოგადოება“ „სამხრეთ დუნაის საზოგადოება“ „აღმოსავლეთის საზოგადოება“ „კავკასი მერკური“ და სხვ. ნუ თუ ჩვენ ქვეყანაში სხვები უნდა კამისიონერობდენ და ჩვენ კი ვერ შევადგნეთ იმ გვარ საზოგადოებას, რომ ოდესიდან და სხვა და სხვა ნავთსადგურიდან ჩვენ ქვეყანაში საქონელი გადმოვზიდოთ. ამასაც დიდი კაპიტალი უნდა? არა, ამას უნდა მხოლოდ კომერციული ფხა და საქმის უნარი.

იმედი მაქვს მკითხველს ის არ ეგონება, რომ თითქოს მეფართლეს და მერკინეს ვურჩევთ თავის საქმეს მოშორდეს და კომისიონური კანტორა გახსნას. არა, ჩვენ გვინდა ყველა თავის საქმეზე ადგეს, მხოლოდ, როდესაც თითვეულმა ვაჭარამა ყოველ ასი თუმნის საქონელში ორასი და სამასი თუმანი შეიძინა, არა დღიური ვაჭრობით, არამედ შემთხვევით, ქაღალდის ფულის დაწევის გამო, საქონლის გაძვირებით, თითვეულ მათგანს შეუძლია ზედ-მეტი კაპიტალი იმგვარ ვაჭრობა მრეწველობაში დააბანდოს, რომ ჩვენ ქვეყანაში ჩვენმა კაპიტალმა წამოდგას ფეხი და სხვებთან ერთად იხსენიებოდეს.

სად არიან სოფლელი ფულის პატრონები, ებრაელები, ქალაქის მდიდრები. სად არიან ისინი ჭიათურის შავი ქვის ვაჭრობაში, ბათუმის ოლქის სპილენძის დამუშავებაში, ხე-ტყის ქარხნებში. თუ ჰგონიათ ზოგს, რომ ამ გვარ საქმეს სპეციალური ცოდნა უნდა და ისე საქმეში ვერ ჩაებმება. რასაკვირველია, ყველა აქციონურ საზოგადოებას ზედამხედველად საქმის მცოდნე კაცი ყავთ, მაგრამ იშვიათია იმგვარი აქციონერული საქმე, რომ პირადი მუშაობა სჭიროდეს; მას ყოველთვის კაპიტალი ემსახურება.

ფულის საშოვარი ალაგი ჩვენში ბევრია, სამკალი ყველგან ბლომად ყრია, მაგრამ ჩვენ გაზერებული [illegible] ვინაა რომ მოვა მოშვება ჩვენ კი ფულიბურად ობობასავით თავი ჩავიღუნია და მამაპაპით ჩვეულ ქსელში არი გამბული და ამის იქით, თუ სხვა რაიმე საქმე არსებობს, გაგებაც არ გვინდა. მხიარული ვართ, რომ ფულებით ვკოჰაობთ, მაგრამ, დარწმუნებული ვბძანდებოდეთ „კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანს“. საქმე სულ ამ დონეზე არ იქნება. ფული ჩვენსკენ როგორც მოფრენილა, ასევე გაფრინდება. მას, თუ ცოცხალია, ვერ გაჩერებთ, თუ გინდ ოთხკლიტულში ჩაკეტოთ; თუ მკვდარია სხვაა — ფულის დაწვაც შეიძლება. ასეთია ფულის ბუნება.

ამისათვის ერთად ერთი საშუალება ფულის შენახვისა, მისი სხვა და სხვა სასარგებლო საქმეში დაბანდებაა. უნდა გამოჩნდენ ჩვენში პირნი რომელთაც სხვა და სხვა აქციონერული სავაჭროები დაფუძნონ, რომ ახლავე ქართულმა კაპიტალმა გზა იშოვნოს და მომატების საშუალებას არ გადუხვიოს.

ამისათვის ამბობს ჩვენი დიდებული პოეტი ამისთვის „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულიაო.

ბ. ი—ძე.

# კავკასიის ქრონიკა.

**თფილისი.** ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოების მთავარმა გამგეობამ ბათუმის განყოფილებას გაუგზავნა 6405 მანეთი სკოლებისა და საავადმყოფოს ხარჯების გასაძღოლად. ახალციხის განყოფილებას გაუგზავნა „დედა-ენის“ პირველი ნაწილი 40 ცალი, 10 ხარმელაშვილის „ანგარიშის“ პირველი ნაწილი 40 ცალი, საანგარიშო რვეულები 80 ცალი და ქართული წერის რვეულები 40 ცალი.

— **თელავი.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების თელავის განყოფილებამ განიზრახა ომიანობისაგან დაზარალებულთა ბავშვებისათვის, რომელნიც სასწავლებელში არ იყვნენ, მომავალ იანვრიდან დაარსოს წერა-კითხვის ერთი კლასი, ხარჯს განყოფილება კისრულობს.

— **სიღნაღი.** მთელ სიღნაღის მაზრაში ნავთი და შაქარი არ იშოვება, შეშის ფასმა ერთი ათად აიწია, საჟენი ას მანეთს ფასობს. თუთუნი ფუთი ექვს თუმანში იყიდება. ღვინო საპალნე 400-500 მანეთია. მუშა დღეში ოთხი მანეთია.

— **ბათუმში.** „თან. აზრს“ სწერენ, რომ 22 ნოემბერს ბარათაშვილის დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო დრამატიულმა წრემ რკინის თეატრში საღამო გამართა. პირველ განყოფილებაში ნ. ბარათაშვილის პოეზიის შესახებ ლექცია წაიკითხა ალ. წერეთელმა. თვით ლექციის თემას ბ-ნი ლექტორი გაკვრით შეეხო. მთელი დრო წინასიტყვაობას მოანდომა, რაც ფილოსოფიურ პესიმიზმის დახასიათებაში გამოიხატებოდა და რაც ფართო აუდიტორიისთვის გაუგებარი დარჩა. ის დასავლეთ ევროპის ფილოსოფოს პოეტებისაგან პირდაპირ ნ. ბარათაშვილის პოეზიაზე გადავიდა და პოეტის ორიოდე ლექსის განხილვით დაამთავრა ლექცია.

# პროვინციის ცხოვრება.

**ქიზიყი.** თუთუნის ფასებმა წინა წლებთან შედარებით, ძალიან აიწია. წელს ჯერ გვეწვია ფაბრიკანტი სათვარვი და 30-35 მანეთად დაიგვეთა; მას მოჰყვა რუსეთის სინდიკატის წარმომადგენელი. და მიუმატა 3-5 მანეთი, შემდეგ სიმონიანცის აგენტებმა წაუმატეს კიდევ რამოდენიმე მანეთი და შექმნა დიდი კონკურენცია. საწყალმა მეთუთუნეებმა აღარ იცოდენ ვისთვის მიეყიდათ. წინათ თუ ჩარჩები კადნიერდენ პირობებს, ახლა ამ ხრიკს თვით მწარმოებელმა მიმართა და ზოგი მათგანი ორ, სამ პირს ეკრიდა პირობით ერთ და იმავე დროს ბოლოდროს ფასები აიწია 50 მანეთამდი. ღვინის ფასებიც აწეულია. საპანე 400—500 მანეთად იყიდება.

**ხოფ. ძველისანაქი.** ოლქის მზრუნველმა ნება დართო ძველსენაკის უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებელში შემოღებული იქმნას ქართული ენის სწავლება, როგორც არა სავალდებულო საგნისა ამ წლის პირველ დეკემბრიდან.

დარკონის მშობლები, ფილეტასი და მისი შვილები: ხრომისი და ლიკენიონი. ლამპისსაც კი შეუნდეს შეცდომა და ისიც დაესწრო ქორწილს. განზრახ ისე მოაწყვეს ყველაფერი, როგორც მწყემსებსა და სოფელს შეეფერებოდა. ერთნი ჰოროვლოას და მკის სიმღერას დასძახებდნენ, მეორენი, თითქო საწნახელს უდგანან და გაჩაღებულია რთველიო — შესაფერ კილოს მღეროდნენ, მაყრულს და სხვ... ფილეტასი სალამურს აწკრიალებდა, ლამპისი სტვირს აკვნესებდა, დაფნისი და ქლოია ერთმანეთის ალერსით ლევდნენ სულს. იქვე ახლოს თხები სძოვდნენ და ისინიც მონაწილეობას იღებდნენ ამ საერთო ნადიმში. სიმართლე თუ გინდათ, ქალაქელებს არ მოსწონდათ ეს „თავისებური“ ჭრელი ზეიმი, მაგრამ დაფნისი ხან ერთ თხას მოუწოდებდა და ხან მეორეს, შესთავაზებდა მწვანე ბალახს, რქაში წაავლებდა ხელს და ჰკოცნიდა.

36. დაფნისისა და ქლოიას მწყემსური ცხოვრება ამით არ დაბოლოვებულა: ღრმა მოხუცებამდე დიდ დროს ანდომებდნენ ცხვარ-თხათა ბედზე ზრუნვას. განსაკუთრებული ყურადღებით და მოწიწებით პანსა სცემდნენ პატივს, ფერიათ და სიყვარულის ღმერთს; გაამრავლეს ცხვარ-თხათა ფარა და ყოველთვის სოფლურ საჭმელს არჩევდნენ ქალაქურს და უპირატესობას მაწონ რძეს ანიჭებდნენ როდესაც პირველი ვაჟი ეყოლათ თხას მიუჩინეს მაწოვრად და ასულს კი ცხვარი. ვაჟს ფილოპომენომი უწოდეს და ასულს აგლეია სიცოცხლის მეტი ნაწილი მინდორ ველზე გაატარეს, ფერიათა გამოქვაბული ახალი ქანდაკებით დაამშვენეს და მწყემსთა სიყვარულის ღმერთს სამსხვერპლო აუგეს. არც პანი დაივიწყებიათ: ცაცხვის ნაცვლად, რომელიც ოდესღაც იფარავდა მათ მზის მწველ სხივთაგან, მშვენიერი ტაძარი აუშენეს და სახლად — მებრძოლი პანი-ტაძარი უწოდეს.

40, ყველა ეს მხოლოდ შემდეგში მოხდა. ამჟამად კი, შებინდებისას მოსასვენებლად მიაცილებდნენ ნეფე-დედოფალს და სალამურ — სტვირზე საქორწინო ჰიმნს უკრავდნენ, სხვები კი ჩირაღდნებით გზას უნათებდნენ მათი სენაკის წინ და მკაცრი და ველური ჰიმნი დასჭექეს, რომელიც პოსეიდონის მიერ დედამიწის გასაპობად მოქნეულ სამთითის გრგვინვას უფრო ემზგავსებოდა, ვიდრე ჰიმენეის საგალობელს. დაფნისმა და ქლოიამ მთლად შიშვლებმა მოისვენეს საქორწინო სარეცელზე და მთელ ღამეს ისე არ უძინიათ, ვით ბუ. დაფნისმა საქმით დაამტკიცა, რომ სისწორით შეეთვისებინა ლიკენიონის გაკვეთილი და ქლოიაც მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ მანამდელი მათი ალერსი მხოლოდ ბავშური თამაშ-გართობა იყო და მეტი არაფერი.

გ. მუმლაძე.

**სოფ. სამიწოს.** (რაჭის მაზრა) გიგო უიფიანის სახლში, ერთმა მისმა შვილმა (მთაწაფეა) ჩამოიღო კედლიდან თოფი და თამაშობა დაუწყო. უცებ თოფი გავარდა და ტყვია მოხვდა მის დას და იქვე სულ დალია.

**სოფ. ნოსირი.** (სენ. მაზრა) 22 ნოემბერს აქ საშინელი ამბავი დატრიალდა ადგილობრივ ორკლასიანი სკოლის ზედამხედველს აქსენტი გუდუას შეუვარდა აქვე უთვილი მასწავლებელი და დღეს პრაპორშჩიკი ბარბაქაძე და ორჯერ რევოლვერი დაასხა. გუდუა სასიკვდილოთაა დაჭრილი; მიზეზი გამორკვეული არ არის; ამ ამბავმა საზოგადოება ძრიელ ააღელვა

**სოფ. საჭილაო.** აქეთ კარგი ხანია საქონლის ჭირი მძვინვარებს, რამაც საზოგადოებას დიდი ზარალი მიაყენა, შინაური ფრინველებისა და ღორების ჭირმაც იჩინა თავი და ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში გადადის და თან და თან ვრცელდება.

**სოფ. ხიდისთავი.** საქონლის ჭირმა აქეთ ფართო ხასიათი მიიღო, თითქმის ყოველ სოფელში მძვინვარებს ჭირი; გზები შეკრულია; საქონლის გადაყვან-გადმოყვანა ძალზე შეფერხებულია. შაქარი არ იშოვება,

**სოფ. გორაში.** მეტად სამწუხარო ამბავი მოხდა. ბასილა მეფარიშვილს დატვირთული ურმიდან სამი წლის ბავშვი გადმოუვარდა და ბავშვი ურემმა გაჭყლიტა.

**მარტვილიდან** იწერებიან, რომ იქ ახლო მახლო სოფლებში ქურდობა ძრიელ გავრცელებულა; სოფელს საქონელს საძოვრად ვერ გაუშვია, საჭიროა ენერგიული ზომები მიიღონ, თორემ რაც დრო გავა, ქურდები მეტათ გათამამდებიან. ამ დიდ გაჭირვებაში სოფელი ქურდებიდან ძრიელ შეწუხებულია.

**აჭარა.** წრეულს თუთუნის კარგი მოსავალი იყო და თუთუნიც კარგი ღირსების აიღეს ფასები, შედარებით სხვა წლებთან, კარგია, ფუთში ოთხ, ხუთ თუმანს იძლევიან. ხულოში ოთხი ათასი ფუთი იქნება გასაყიდი თუთუნი. მაჭახლის ხეობაში, სოფელ ჩხუტუნეთში, მარტო მევლუდ აღა მალაკმაძეს აქვს 400 ფუთი კარგი ღირსების თუთუნი გასაყიდათ.

# რუსეთი.

„რეჩ"-ს გაუგია, რომ მთავრობის პოლიტიკა სათათბიროსადმი მომავალ კვირაში გამოირკვევა.

— ტრეპოვს უთქვამს როძიანკოსათვის, სათათბიროს ნუ აიჩქარებთ; დარწმუნებული ვარ, რომ მთავრობა სათათბიროსთან თანამშრომლობას შესძლებსო.

— სადგურ „გუნიბ"-ზე ფოსტას თავს დასხმიან ლეკები და 30 ათასი მანეთი გაუტაცნიათ.

— მინისტრთა საბჭოს საგანგებო სხდომა ყოფილა მოწვეული სასურსათო საკითხის განსახილველად. იმედი აქვთ, რომ ხსენებულ საკითხს სასურველად გადასწყვეტენ.

— თანახმად გენერალურ შტაბის მთავარ გამგეობის განკარგულებისა 1890—1896 წელს მე 2 რიგის მოლაშქრედ ჩარიცხულნი, 1916 წლის 25 ოქტომბერს ჯარში გაწვეულნი ჯარის ზურგში სხვადასხვა თანამდებობის ასასრულებლად და ავათმყოფად ცნობილნი, ამ ჟამად სრულიად განთავისუფლებულნი იქნებიან.

— „ჭეშმარიტ რუსთა" პარტიის მთავარ საბჭოს დაუდგენია, რომ მარკოვ მეორეს სათათბიროს „ურიათა ხროვასთან" ბრძოლისათვის მადლობა მოხსენდეს და ეთხოვოს მას ნებართვა, რომ იგი ჩირიცხულ იქნეს პარტიის „რჩეულთა რიცხვში, რომელშიაც აქამდე დუბროვინი, პოლუბოიარინოვა და სხვები არიან ჩანიშნულნი. ამავე კრებაზე დაუდგენიათ პურიშკევიჩს წყევლა-კრულვა გამოუცხადონ.

— სახ სათათბიროს კულუარებში დაჟინებით ლაპარაკობენ, რომ დეპუტატებს და საბჭოს წევრებს ხელმწიფე იმპერატორი ინახულებს მათ უმაღლესობის სასახლეში.

— როგორც ვუწყით მთავრობის უმაღლეს წრეებში ორი მიმდინარეობა ეცილება ერთი მეორეს; ერთი სათათბიროს დაახლოვებას მოითხოვს, მეორე-მის დატუქსვა დათხოვნას. ხმებია, რომ გამარჯვება მეორე მიმართულებას დარჩენია და მისვე პოლიტიკას გააძლიერებენ დღეიდან.

— ირწმუნებიან, რომ პროტოპოპოვის ავადმყოფობა მხოლოდ დიპლომატიური ფანდია. მას არ უნდა პირის პირ შეხვდეს სათათბიროს და აქვს რა იმედი მას საკანონმდებლო პალატების დათხოვნისა, განზრახვა აქვს მაშინ შეუდგეს თანამდებობის აღსრულებას, როდესაც ეს მოხდება და მისი კბილის გამჩხრეკი არავინ იქნება.

# უცხოეთი.

ბელგეთიდან მშვიდობიან მცხოვრებთა შიდა გერმანიაში სავალდებულო შრომის ბევრის მოსახდელად გაყვანას გერმანიის მთავრობა იმითა ხსნის, ვითომ ბელგეთში უმუშევრობა სუფევდეს

— ამერიკის შეერთებულ შტატებში დაუპატიმრებიათ ვინმე ლოტტინგი, რომელიც ამერიკიდან მექსიკაში აუარებელ იარაღს გზავნიდა მაშინის ნაწილების სახით. ლოტტინგი გერმანიზმის ცნობილი პროპაგანდისტად ითვლებოდა ამერიკაში და, როგორც ეხლა აღმოჩნდა, მას მთელი ორგანიზაცია ჰქონია მოწყობილი.

— ამ ზამთრის განმავლობაში პარიზის ღარიბებს მცხოვრებთ 480 ათას ფუთ ქვანახშირს სრულიად უსასყიდლოდ დაურიგებენ.

— იაპონიის მინისტრთა საბჭოს ახალი დადგენილება მიუღია მოწინაარმდეგე ქვეყნების ქვეშევრდომებთან ვაჭრობის შესახებ მოწინაარმდეგის სივაჭრო წრეებთან ურთიერთობისათვის იაპონელი ვაჭრები სასტიკად დაისჯებიან.

## პასუხად

### „ქორეთელ გლეხს".

ბ. „ქორეთელო გლეხო!" თქვენის წერილისა. გამო, რომელიც ნოემბრის 17 სა გაზეთ „თანამედროვე აზრის 257 ნომერში მოათავსეთ ჩემ შესახებ, იძულებული ვარ მოგახსენო შემდეგი:

1. თქვენი ბრძანებით, რომ ომმა ყველაფერი არივ-დარია და პატიოსან კაცსაც გამდიდრების სურვილი აღუძრაო, ამაში მართალი ბრძანდებით, მაგრამ არა ჩემ შესახებ და ნამეტურ იმ საქმეში, რომელშიაც მე თქვენ ასე უმართებულოთ ცილსა მწამებთ. თქვენთვის მართლადაც ყველაფერი ზედ-მეტად არეულ-დარეული ყოფილა, როცა ავსა და კარგს ერთი მეორისაგან ვეღარ არჩევთ, ან და გინდათ რომ გაარჩიოთ. ამასთანავე, გლეხი და მუშა, როგორიც უნდა იყოს, რაც უნდა ბოროტი და ავაზაკი იყოს ყველა კარგია და ყოველთვის და ყველაფერში მართალი, ხოლო ვინც მღვდელია, ის, თქვენის შეხედულობით, ყველაფერში მტყუანია და ქვეყნის დამქცევი. თქვენთვის ადამიანის შინაგანი თვისების გარჩევა არ არსებობს, მღვდელი საზიზღარია, რადგან მღვდელია, გლეხი კი კარგია და ყოველთვის მართალი, რადგან იგი გლეხია. ჭეშმარიტად, თქვენისთანა ვაჟ ბატონების გადამკიდე, ეხლანდელ დროში, კაცი ვერაფერ კეთილ საქმეში ვერ გაერევა: ჩვენ საზოგადო საქმისათვის თავდადებულნი და დიდებულნი მოღვაწენი ძალიან ცოტა გვყავს (სიტყვით, ცარიელი სიტყვით ბევრია, აი როგორც თქვენ, საქმით კი ორიოდე) და ვისაც კი მცირეოდენი ენერგია აბადია საზოგადო საქმიანობისათვის და პირადულ, კერძო ინტერესებს ოდნავ მაინც გასცილებია, თქვენისთანა მყვირალა, ხალხისათვის თავდადებულნი, სწორედ თავიანთი „არევ-დარევით", გზას უბნევენ და ამ მცირე ენერგიასაც უკლავენ. თუ ეს ასე არ იყოს და, თუ თქვენ მართლა ქორეთელი ბძანდებით, რით აიხსნება იგეთი ზერელი შეხედულობა იმა საქმისა, რომელშიაც ასე უშვერათ მამტყუნებთ. ბრმა უნდა იყოს ის ადამიანი, რომელიც თქვენ რომ საქმეზედ ამბობთ, მას გასცნობია და ჩემზედ მაგეთ ბრალდებას აყენებს. ამ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში იმოდენა ვაი-ვაგლახი გამოვიარე, ისეთი ტანჯვა-წვალება გამოვსცადე, არა ჩემი საქმისათვის. არამედ ჩემი მრევლისათვის, რომ ენა ვერ გამოსთქვამს (შეიძლება საქმის ღირსება ბევრს არაფრად მიაჩნდეს, მაგრამ ეს სულ სხვა კითხვაა); ყოველივე ამასთან, მეტად ღარიბმა კაცმა, იმ საქმეს რამოდენიმე ჩემი ჯიბიდანაც ზედ წავადევი და ჩემი შრომაც უანგარო იყო, ამას საბუთიანად დაგიმტკიცებთ და არა თქვენებრ მხოლოდ სიტყვით, ზერელურ საქმის გამრჩევო, ჩემო განუკითხავო მსაჯულო.

2. თქვენ ამბობთ, რომ მე ვითომც რაღაცა „პრიგოვორით" სიყალბე ჩამედინოს და კომიტეტის წევრებისათვის ძალა დამერთოს, რომ მათ ხალხისთვის 470 მანეთი გადაეხდევინებინათ ჩემდა სასარგებლოთ. კარგია თქვენ ნუ მომიკვდებით! მაგრამ, რომ ეგეთი ხასიათისა ვიყო და ეგ ვიკადრო კიდეცა, მაგოდენ ძალას მე მაინც ნუ მომაწერთ. კომიტეტის წევრებიც მოვიძიე, გარდა ერთისა (სულ შვიდია), რომელიც, თქვენის შეხედულობით ყველაზე უფრო შეგნებული და მაგარი ხასიათისა უნდა იყოს, მრევლსაც მოვერიე და ადგილობრივი მთავრობაც ჩემსკენ გადმოვხარე. მაგრამ ჩემ მრევლში როგორღა მეცხოვრება!

ამისათვის, ხანდახან რომ ალაგმავდეთ თქვენს ლტოლვილებას და ყალბ შინაარსიან წერილების ჩმახვას თავს გაანებებდეთ და ყოველ გარემოებას კარგად ჩაუკვირდებოდეთ, ყოველ შემთხვევას ჯეროვნათ და სამართლიანათ აწონ-დაწონიდეთ ხოლმე, ძალიან კარგს ინებებთ...

3. თქვენი სიტყვით, მე ხალხმა გალავანის გაკეთების ხარჯების შესახებ ანგარიშები მომთხოვა და ამაზედ ვუპასუხე, რომ ფულები გადაიხადეთ და მერე ვიან გარიშოთო. ძალიან სცდებით! სად იყო ხალხი? რაღაც 15-20 კაცი, 260 ადგილს! უკაცრავათ, მე ხალხს, ე. ი. მთლად ჩემ მრევლს, ან მათგან არჩეულ პირებს, როგორც აქამდის, ისე ახლაც მზათავარ ანგარიშები წარუდგინო, მით უმეტეს, რომ მე, თუ მოვიგებ რასმეს ამით, თორემ არას წავაგებ, რასაკვირველია, ზნეობრივათ და არა ქონებრივათ, რადგან ჩემი ჯიბიდამ ზედმეტ დახარჯულს, მე არავინ აღმიდგენს; ნეტავი, თქვენის კარგად ყოფნით, კუთვნილი გადაეხადათ და სხვას ვილა სწუხდა! ვიმეორებ, ანგარიშს არ გაურბივარ მეთქი, მაგრამ, მისთვის კი არა მცალიან, რომ თითო-ოროლა პირს ან გარიშები ვუდგინო გზა შარაზე და უდროოდ, მით უმეტეს, რომ აქედგან არაფერი არ გაკეთდება, როგორც ამაში გამოცდილებამ დამარწმუნა. ერთი და ორი კიდეც რომ დავარწმუნო ჩემ სიმართლეში, მესამე და მეოთხე, და ასე დაუსრულებლათ, თავისას გაიძახის. დიახ, მე ანგარიშის მოხდენის წინააღმდეგი არ გახლავარ, მაგრამ მაინც უნდა ვსთქვა კი, რომ იურიდიულათ რომ გავსინჯოთ, ანგარიშების მოთხოვა ამ შემთხვევაში, სამართლიანად არ ჩაითვლება და, აი რატომ: ვსთქვათ მოიჯარადრემ აიღო რაიმე საქმე, თუნდა ესეთი, რომელიც ჩვენ საბაასო საგნათ შეიქნა, და მან აღებული საქმე წესიერად შეასრულა, თქვენც პირობაში აღნიშნულ ფულს აძლევთ. ამ საქმის შესრულებისათვის, ერთი სიტყვით, საქმე ჩაიბარეთ, თქვენც კმაყოფილი ხართ და ამის შემდეგ, თქვენს გამარჯვებას, რა თქვენი საქმეა და რაში გეკითხებათ, თუ რაში დახარჯა მან, ან როგორ მოიხმარა თქვენგან წაღებული ფულები? სად არის თქვენი ლოღიკა! მარტო ის არა კმარა, რომ თქვენ ორიოდე სიტყვის ერთი მეორეზე გადაბმა გისწავლიათ, უპირველესად ყოვლისა, სიმართლეს უნდა ემსახურებოდეთ, თუ დაჩაგრულებისა და საწყალი ხალხის მოსარჩლეთ გამოდიხართ. თორემ თქვენი უსამართლო საქციელი თქვენვე გავნებთ: საზოგადოების თვალში ფასი დაგეკარგებათ და რომ არის ნათქვამი, ისე დაგემართებათ: „მართალსაც აღარ დაგიჯერებენ". მე გულახდილათ ვიტყვი, რომ ორში ერთი უნდა იყოს; თქვენ ვილაც ბძანდებით, ან პირადი ინტერესით ხართ გამსჭვალული ან და თავი არ შეიწუხეთ, რომ საქმეს ჯეროვნათ გასცნობოდით. ორივე შემთხვევაში კი მტყუანი ბძანდებით.

ყოველივე ამის მიხედვით, თუ თქვენ თქვენივე თავ-მოყვარეობასა აფასებთ და თქვენში პატიოსანი ადამიანის სისხლი ჩქეფს, შემდეგ პირობაზე უარს ვერ მეტყვით: გამობძანდით ჩემთან სამედიატორო სამართალში იმ პირობით, რომ, თუ მე მტყუანი დავრჩე იმ ბრალდებაში, რომელიც თქვენ ჩემ წინააღმდეგ წარმოადგენთ, ასი მანეთი გადავიხადო რაიმე საქველმოქმედო დაწესებულებისა, რომელიც თქვენ გენებოსთ, თუ გინდ გაზეთ „თანამედროვე აზრის" რედაქციის სასარგებლოთ; და, თუ გავმართლდე, თქვენ გადიხადეთ ამ წესითვე ამდენივე. ამასთანავე მე ვიხდი მრევლის სასარგებლოთ ერთი ათადა, თუ პირობის გარეშე რამე ზედ-მეტი გადავახდევინე, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ გადიხადეთ ის, რაც ზედმეტი ჩემი საკუთარი ფული აღმოჩნდება დახარჯული.

ამა საქმის გასარჩევათ, ჩემის მხრით მედიატორებათ ვასახელებ საჩხერეში არსებულ, ჩიხის სამინისტრო სკოლის მასწავლებელს პოლიკარპე კინწურაშვილს და ქორეთის სკოლის მასწავლებელს—შალვა კარაბაძეს; თქვენც ორი დაასახელეთ თქვენის მხრით და თავ-მჯდომარე კი ოთხივემ აირჩიოს. მედიატორული განაჩენი გამოცხადდეს გაზეთ „თანამედროვე აზრში", ამ ჩემ წინადადებას თუ გაექეცით და სამედიატორო სამართალში არ გამომყვებით, იმ შემთხვევაში ქორიკანას სახელი გეწოდებათ.

მღვდ. პარმენ ყიფშიძე.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ დაბეჭდოთ შემდეგი ჩემი წერილი.

თითქოს საპასუხოთ იმ დიაკ ბარათისა, რომელიც ჩემგნით იყო მოთავსებული გაზ. „სამშობლოს" №443, სადაც ვეხებოდი და ვხსნიდი „შემაძრწუნებელ ფაქტებს კაცხის 2 კლ. სამ. სასწ. ზედამხედველის უფ. დვანიძის სამოსწავლო ასპარეზზე მოღვაწეობას პატივც. გაზ. „ახალი აზრის" მე №224-ში დაიბეჭდა მცირე შენიშვნა ხოფ. კაცხიდან ფერადი ფსევდონიმით „სამა კუკუ." ყოვლად შეუწყნარებელ ჭორს ამცნობდა მკითხველ საზოგადოებას ჩემ შესახებ.

მეტად დასანანოვებული ნათესაობა პატარა და „შენიშვნისა" იმ წერილებთან, რომლებიც წარსული წლის შემოდგომიდან დღემდე იბეჭდებოდა სხვა და სხვა გაზეთებში ბ-ნ დვინიძის მიერ მაძლევს საბაბს ვიფიქრო რომ „სამა კუკუს" ფსევდონიმის ქვეშ უნდა იმალებოდეს ბ-ნი დვინიძე, რომელიც პირდაპირ ვამხილებ სიკვდილში და რომელიც თავს-კი იმალავს.

ზემოხსენებულ წერილში ბ„ სამა კუკუ" სხვათა შორის აფხიზლებს გლეხებს და ურჩევს მათ არ ქქნესთ ჩემთან არავითარი კავშირი, საძმე! მხოლოდ უკანასკნელებმა გამოცდილებით იციან, ბ. „სამ-კუკუ" ვინ არის მოსარიდალი, ვის უნდა გაურბოდენ იგინი: გლეხებმა უკვე შეიგნეს, თუ რამდენათ ბრძანდებით თქვენ ბატ „სამა-კუკუ" როგორც დემოკრატიული პრინციპების მატარებელი, გლეხობის ინტერესების დამცველი, მათი მოამაგე, ძმაკი! თქვენ თუ გული შეგტკივათ ხალხისთვის, აცნობეთ მათ ვის არ ერცხვინება ძმა და ამხანაგის არქის ქვეშ გლეხებს ტყავი გააძროს; ვის არ მიაჩნია საბრალო სალდათების დედების, ცოლშვილის, დების ტირილი და ვინ ხსნის მათ წერილებს რის შემდეგ ბარათები დანიშნულებას ვეღარ აღწევენ? ვიმეორებ, თუ გული გეწვისთ ხალხზედ, განუმარტეთ მას: ვინაა იგი, რომელიც თავის წმინდა მოვალეობის ასრულების მაგივრად რომლის ასრულების დიადი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათვის, დილიდგან საღამომდე ბანქოს თამაშში ატარებს დროს და, როგორც დახელოვნებული მოთამაშე, ჯიბეს უცარიელებს ცოლ-შვილის მეპატრონე ვითომდა „სტუმრებს" ან და რომელია, რომ ხალხის ნდობას ატყუებს და სცდავს მუშისაგან ქრთამს იღებს და ყოვლად უდანაშაულო პიროვნებას ჩირქს სცხებს თვისი არა წმინდა „საქმეების" წყალობით! ბოლოს მოგმართავთ „სამა კუკუ," როგორც სოფლის ხალხის მოამაგე, „საქმეებში და კანონებში" საკმაოდ გაწვრთნილს, ვის ეკუთვნის ის [illegible] რომელიც კანონის ძალით [illegible] სკოლის ამშენებელ [illegible] ბლის ზედამხედველ [illegible] თუ ეგელა [illegible] თქვენ ნაკლებათ გაინტერესებთ, ვიდრე ჩემ გნით გლეხზე სხვაგა ადგილის დაკარგვება, ნუ გამოიჩნდებით თუ თქვენი საუკუნო თანადონის „სამა-კუკუ" გამოაქვეყნებდე და ვედრებ ყოველი პატიოსანი ადამიანი აგრეთვე".

კაცხის ორ-კლ. სამინ. სასწავლებლის სამეურნე მზრუნველი.

დ. ლეონიძე.

## შემოწირულებანი.

I

ქ. შ. წ. გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობამ მიიღო ასი მანეთი არქიელის გორაზე აგებს სახელობაზე არსებულ სამკითხველოსათვის ქნ. ნადეჟდა ივანეს ასულ ბეზოდლისაგან მისი განსვენებულის დედის ხსოვნის პატივსაცემლად, რისთვისაც შემომწირველს წრფელ მადლობას უძღვნის გამგეობა.

II

ბ. ბ. გიორგი და ალექსანდრე ნიკოტინებმა მათი გარდაცვალებული დედის ხსოვნის აღსანიშნავათ ქ. შ. წ. კ გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას შემოწირეს ასი მანეთი, რის გამო გამგეობამ დაადგინა გულწრფელი მადლობა გამოუცხადოს გაზეთის საშუალებით შემომწირველთ და შემოწირულება აღნიშნოს იმ განსაკუთრებულ წიგნში, რომლის შემოღება გამგეობას განზრახული აქვს

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. **„სამშობლო"**



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 წ. |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 „ |
| ბათომიდან | — დილით | — 12 ს. 40 „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 „ |
| ფოთიდან | — დილის | — 10 ს. 26 „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს | — 7 ს. 00 „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | — 11 ს. — „ |
| | — ღამის | — 12 ს. 15 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 „ |
| | — დილის | — 5 ს. 55 „ |
| ფოთისაკენ | — დილით | — 4 ს. „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 8 ს. 13 „ |
| შორაპნისაკენ | — დილით | — 5 ს. 18 „ |

**საღი კუჭი**

**ჟელაგარი** ექ. ვეზისა

ახალი მეცნიერულად შემზადებული პრეპარატი კუჭის ქრონიკულ ყაზბობის, მოშლის, ნაწლევების, კატარის და საჭმლის გადამხარშველ ნაწილების სისუსტის წინააღმდეგ.

ქრონიკული ყაზბობა წყაროა მთელი წყება კუჭ-ნაწლევების მოშლისა, პირის დებინებისა, სიმწვავისა, მუცლის ბერვისა, კუჭის ტკივილებისა, ნაწლევების კატარისა, გემორროისა, იწვევს სისხლის მოწამლას, თავის ტკივილებს, მადის დაკარგვას, ცუდ გუნებას და საერთოდ მთელი ორგანიზმის მოშლა—დასუსტებას. ყაბზობის წინააღმდეგ ჩვეულებრივ ხმარობენ საფაღარათო წამლებს, რომელიც არა თუ სპობს ყაბზობას, პირიქით უფრო აძლიერებს მას.

პრეპარატი **ჟელაგარი** ექ. ვეზისა აქარწყლებს კალაკვის მასსას, ასადებს ნაწლევებს, აშორებს უდებობას და აჩვევს მას ნორმალურ მუშაობას და რადიკალურათ სპობს ჭვალს, ნაწლევების კატარს, მიგრენს და სხვა სისუსტეს, რომელიც გამოწვეულია ყაბზობისაგან. **ჟელაგარი** სრულებით უვნებელი საშუალებაა სხეულისთვის და სრულებით ადვილი გადასატანია თვით ჩვილ ავათმყოფობისაგანაც კი. პრეპარატ **ჟელაგარს** ხმარობენ გამოჩენილი პროფესორები კუჭის ავათმყოფობის დროს და მოწონებულია როგორც უტყუარი და სარწმუნო საშუალება კუჭის ყოველგვარ ავათმყოფობისა და მისი შედეგებისათვის.

დაწვრილებითი ბროშურა კუჭის ავათმყოფობის შესახებ პირველ მოთხოვნილებისთანავე იგზავნება უფასოთ.

ნამდვილი **ჟელაგარი** ექ. ვეზისა მზადდება საფრანგეთსა და რუსეთში. იყიდება „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის განყოფილებაში" და ქუთაისში **ა. კ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის თეატრის პირდაპირ.

ჟელაგარის ერთი კოლოფი ღირს 3 მ., მოსარჩენათ საჭიროა 3—5 კოლოფი. 9 (წლიური)

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.

მსწრაფელ-მბეჭდავი სტამბა ალ. კოპრეი ძისა